

სნობის ფურცელი



სურათებიანი დამატება

გაბაბიის № 80

ხუთშაბათი, 16 თებერვალი 1916 წ.

გაბაბიის № 3004

ნუბუნი

„უმერთა, ვან მისწვდეს შენგან ქმნის,
მისს ფერ უფალას შენგან?
სიბნელეს აქოთ სინათლით,
სიკვლით ჰადავ სიოვრე ასა...“
გ. რბილანია.

სისხლის ღერა, ისეუ სისხლის ღერა,
ტანჯა-ვაკა, ტირილი!
მეორეთ მისხლის დღეს ჰგავს,
ჰგუესად ბატონიას სიკვდილი...
გულავ ტანჯიბით ქიპენ
მცნოვას, ხლად შოილას;
რომ აგანშივე გისრისონ,
და ჰფერენ ვეღვან სიკვდილს;
მეგრამ რა მოჰქდავს ღვთის სიტყვას,
ჩაგრულია მისხლად მოვლენილს;
რა მისხლის გრძობას, დიდუვას,
გრძელეუ ხლში ტანჯილს?
და ჩვეუ ვნუგეშობით, რომ დიდხანს
ვერ გისკას ეს დრო, შეგნელი;
რომ შესწვდის მადე დდე ღამეს,
გამონწენილგა ნათელი.
და ისეებს ახლს ცხოვრებას
ჰგუესა განხლბული,—
თავისუფალი, ძლიერი
სამოთხეს დამწვანებულნი!..

დუბუ მიგრელი.

სუმარას რჩივე

(ინკვიზიციის დროის ამბები).

იუზან აბოსი*)

პატარა ქალაქის მოედნზედ, განგებობისა და
ეკლესიის შუა, გამოფენილი იყო სასჯელის სხვა
და სხვა იარაღი: თითების მოსაპერი მუხრუტები,
სკამები და ბოჭკები დიდრონის ლურსმებით, გახუ-
რებული რკინები... შუა მოკდნზედ ენთო კო-
ლონი, რომლის ალიც ტკაცა-ტკუკით ცასა სწედ-
ბოდა. ამ კოლონზე უნდა ეწამებინათ ეკლესიისგან
განდგომილი, თუ იგი არ უარჰყოფდა თავის ცრუ
მოძღვრებას და კვლავ არ შეუერთებოდა კათო-
ლიკეთა ეკლესიას.

განდგომილი ხელებით ბოძზე მიიბნეს და ფე-
ხებზე რკინის შიშით ლოდები დაჰკიდეს. იტახე-
ბოდა; მაგრამ შინც რწმენით გაიძახოდა: „არ
უარ-ვეყო! არ დაგეორჩილებით, აბა! და არა!“

ლურსმებიან სკაზედ დისევს, მაგრამ უფრო
მყოფილ გაისმა იმის წყევა—კრულავა მტარჯველე-
ბისადმი; უფრო მეტ-გამებდაობას აღვიტებდა იგი მაყურებელ
ხალხის გულში.

ამაოდ დაუღალეს ტანი გახურებულს რკინით. იგი არ
ემორჩილებოდა, არ უარჰყოფდა თავის მოძღვრებას.

ამ ვარემოვამ გონებაში ჩაადგო დიდი ინკვიზიტორი,
თვით პაპის მიერ რომიდან გამოგზავნილი კარდინალი. კა-
რდინალს წაბრძანებთ ჰქონდა, ძირაან-ფესვიანად აღმოეფხვრა
ცრუ მოძღვრება. ინკვიზიტორს გულით უნდოდა, ცოდვილს
ნებაყოფლობით აღიარებინა თავისი ცოდვები. უარ-ვეყო ცრუ
მოძღვრება. არა სწადა ცოდვილის დაწვა, რადგან წვა
უკანასკნელი საშუალება იყო, რომელსაც იწვიათად თუ მიჰ-
მართავდნენ ხოლმე, იცოდა, რა ასე სასტიკ სასჯელს არ მოუ-
წონებდნენ. კარდინალი აივანზე იჯდა წითელ ტანისამოსში
გამოწყობილი. მარ მოუწოდა მხლებლებს და იმათ პირით
შეუთვალა განდგომილის, უარ-ჰყუს თავისი მოძღვრება, დაი-
ვიწყოს ყველაფერი და კვლავ იწმომის კათოლიკეთა რჯული.

პასუხად ტანჯულსივან მხოლოდ ზოლად მიიღო.

ყველაფერს საზღვარი აქვს და კარდინალის მოთმინების
ფილაიც აიყო. განრჩიებულმა უბრძანა ჯლათის, მოკვეთოს



არეულობა მოსკოვში

გეგლეუგაინერგეს იარაღს ურავგეს კერძო სახლში

განდგომილს მარტენა ხელი. მაგრამ წამებულმა მარჯვენა
გაუწოდა მოსაკვეთად, და რამდენაიც აუტანელი იყო წა-
მება, იმდენად უფრო მალლა ისმოდა იმის ახალგაზრდა ხმა.

*) იუზან აბო ფინიანდელი მწერალია.

ქუთაისის ამბები.



მიხაილეს ქუჩაზე.

ეს ხმა ეფენებოდა მთელ მოედანს, ქუჩებს, ისმოდა სახლებში, ქალაქ გარეთ.

კარდინალს იპრაზით ოვლი მოსდიოდა სახეზე. ნაბრძანები ჰქონდა ემოქედნა გადგომილზე, რომ გეგმეზილიყო ცოდვებში, ის-კი უფარზე იდგა. აშკარა იყო, რომ წმინდა პაპის და კარდინალთა საყვედურს ვერ ასცდებოდა.

— საიდან აქვს ესოდენი ძალა ამ კაცს? — ჰკითხა კარდინალმა თავის მზღებლებს.

მაგრამ პასუხი ვერაფერს ვასცა. სხვა განდგომილი წამების დროს ყოველთვის უარყოფდნენ ხოლმე თავიანთ მოძღვრებას, ეს-კი...

კარდინალის წინაშე წარსდგა ბუშარა, რომელიც ინკვიზიტორის ყოველთვის თან დაჰყავდა, და სიტყვა სთხოვა.

— სთქვი! — უთხრა ინკვიზიტორმა.

— პირი აუხვიეთ. — უჩაია ბუშარამ: — ყვირილი უმზღებუქებს ტანჯვას. თუ პირს აუხვიე, ტანჯვა გაურკვევდება...

— სისულელეა! — მიუგო კარდინალი: — თუ პირს აუხვიე, როგორღა უარყოფს თავის მოძღვრებას, ხომ ველარას იტყვის?

— სიჩუმე — თანმობის ნიშანია, ბატონო!

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ბუშარა! — მოუწონა გახარებულმა ინკვიზიტორმა. — შენი რჩევა ჰქონდა.

მაშინვე უპრძანა ჯალათის ავსრულბინა ბუშარას რჩევა.

როცა განახლეს წამება, როცა კვლავ მოუქრეს მუხრუქები და მიუშვირეს ცხელი კრინა, ტანჯული სდუმდა. მაგრამ გზო ხალხმა ამოიღო ხმა. მოედნიდან, სახლის სახურავებიდან, ფანჯრებიდან გაისმა ხალხის მძლავრი, მუქარით სავსე ხმა:

— არ შედრე, არ უარყო, არც დაემორჩილა!

იგი არ დაემორჩილა, არ უბრუნებდა ხალხს, თუმცა ეწამებოდა იყო. ხალხის ხმა ამშვიდებდა და ამხნევებდა.

ამ რიგად მოკლდა ჯალათების ხელში. მაშინ ხელახლა მოედო მთელ ქალაქს ხალხის მძლავრი ხმა, ხმა სიხარულისა და გამარჯვებისა:

— არ დაემორჩილა, არ უარყო, არა და არა!

გაბრაზებული ინკვიზიტორი თმებს იგლეჯდა.

ბუშარა კი უღელსებში იცინოდა: ეს ხომ იმისი რჩევა იყო; ამ რჩევამ ხმა ამოაღებინა ხალხს მაშინ, როდესაც უკრთა აიძულეს გაემგებოდა.

ე. ბაქრაძე.

დ ე ბ ი

მთხრობა ა. აჭარონიანის.

(თარგმანი სიმურთით)

II

ხელახლა რამდენიმე გაზაფხულმა გადიარა სუსანას თავზე, ხელახლა აბიზინდა მწვენი მიწიდან და ხევი. ეზოში ერთდღით ვაშლის ხე რამდენჯერმე აყვავდა. კედლების ვიწრო ნახევრებში ბეგურა ჩიტებმა ბუდეები დააკეთეს და ბარტყები გამოჩვეს; ფარამ და ნახირმა მინდვრები გააცოცხლა, ყარაყაბები რამდენჯერმე გადასხლდნენ შორს.



გველსიანის სახლი, გადამწვარი და განადგურებული.

შორს და ხელახლა დაბრუნდნენ. ხელახლა მოვიდა შემოდგომა თავის მოსაბეჭებელ ქარებით და ხეხილებს ლოშნა დაუწყო; მუხარე ფრინველები მთელის გუნდობით ვაშორდნენ გაყვითლებულ მინდვრებს. წერებმა, ცაზედ გაკრულებმა, გულის შემხარავ ჩაველით გადიარეს, — მაგრამ სუსანას შვილი მაინც არა სჩანდა და არა. სუსანა თავის ოთახში მარტოდ-მარტო იყო, ყველასგან დაიწვევებული. სუსანას ნუკეშად და ამხანაგად დარჩენილი თავისავით ბებრუხუნა ძალი, რომელსაც სუსანასავით ბევრი რამ ენახა. კაცს ვგონებოდა, ესეც მხოველით ვიდაცას ელისო. როდესაც გაზაფხულზე გზოში ვაშლის ხეზე პირველი კოკრები იშლებოდა, სუსანა ყურადღებით უყურებდა ხეხილის ტრტებს და ეუბნებოდა თავის ფეხებ ქვეშ მგორავს ძალს:

— ბოლა! ვაშლის ხე აყვავებულია, ჩქარა მოვა ის განა, მართალს არ ვამბობ?

ბოლა ამასვე კუდა და, თითქმის თანმობის ნიშნად, გაშტერებული ჰესცქარა პატარას თვალუბში. გადიოდა გაზაფხული, გადიოდა ზაფხული, კვლავ დგებოდა შემოდგომა სიციცვბით, ვაშლის ხე შიშვლდებოდა ფოთლებისაგან და იმისი ტრტები მუხარე ჰირბოდა ცივი ქარისაგან; სუსანა

ნაღვლიანად შესტკეროდა და კვლავ ეცოხებოდა თავის ძალს:


— ბოლარ, არ მოვიდა? არ მოვიდა ზებედური? გაზაფხულს მოვა, ხომ მართლს ვამბობ?

ძალი კვლავ აქნევდა კუდს. სუსანა იმედინად მოელოდა ახალ გაზაფხულს, რომ ვაშლის ხე აყვავებულიყო, რომ ფრინველები დაპარუნებულიყვნენ და იმათად ერთად დაბრუნებულიყო საქუცა.

მოხუცი ელოდებოდა და თან საქუცათვის რბილ, ძალიან რბილ ლოგინს ამზადებდა. მრავალს წლის განმავლობაში მატყლი მოეგრკებინა და ცხლა ყოველ დღე თითებით სწენავდა, მერე ჰკრავდა და წაღოში აწყობდა ლოგინს. შემდეგ ხელახლა იღებდა, შლიდა, არბილებდა, და ხელახლავე ჰკრავდა.

ამასთან ერთად მოხუცი მტკიცედ ასრულებდა აღთქმას: ყოველ საღამოს მიდიოდა ეკლესიაში, მთრთოლავის ხელებით აკრავდა ექვს სანთელს ღვთის მშობლის ხატის გაშვებულ და დამწვარ ჩაჩიოზე, ხელებს იშვერდა ზევით, ცისკენ, და ლოცულობდა, ლოცულობდა. და ყოველ საღამოს, ლოცვის შემდეგ, როცა მლოცავები გარედ გადიოდნენ, ეცოხებოდა მოძღვარს:

— საქუა მოვა? მართლს არ ვამბობ, მღვდლო?



დამწვარი და განადგურებული სახლი მხაბიალავის ქუჩაზე.

— ჰო, შვილო, რასაკვირველია, მოვა, შენი მგდენი ცრემლი, ლოცვები...

— შენ პირს შეპარი, მამა... შენს პირს ეცნაცალო! სთქვი, სთქვი, ეგრე სთქვი! შენ რომ ამბობ, დედა ღვთისმშობელიც იცინის, იმედი გულში ვარდსავით მერვლება.

— აბა, შვილო, დედა ღვთის-მშობელს ვისი თხოვნა დაუტრევინა შეუტრულებელი...

და სუსანა დაიმედებული და დაწვარბებული საღვთო ბრუნდებოდა. იქ ელოდებოდა ბოლარს, რომელიც წყნარად ეხვეოდა პატრონის ფეხებს. სუსანა დაწვინებული იყო, რომ შვილი მოუვიდა, უსათუოდ მოუვიდა. ან-კი როგორ შეეძლო ღვთის-მშობელს მოეტყუებინა? ისეთის ღირსი, ისე ტყბილად უყურებს ზევიდან, როცა სუსანა სანთლებს ანთებს და ლოცვას იწყებს. როგორ შეუძლიან არ შეიწყნაროს ევდრება დედისა, რომელსაც ამდენი უწყალობა, ასე გატანჯულია, ცხოდენი უტყრია. ღვთის მშობელს რად უნდა მიეცნებინა ამდენი ტანჯვა მარტო იმისთვის... ან რა ძნელია იმისთვის ერთი დღის ამდენი ხეყნის ასრულება. თუ კი

მოსურევებს და ინებებს, სუსანას შვილი უსათუოდ საღვთო-თი დაბრუნდება.

თევები და წელიწადები გადიოდა, სუსანას შვილიც არასადა სწანდა. მოხუცი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ღვთის-მშობელი იღიმებოდა, და სუსანა დაწვინებული იყო, რომ საქუა მოვა.

— დედა ღვთის-მშობლის კალთა მიქრავს! — ეუბნებოდა ხშირად სუსანა მეზობლებს. — ათბი წელიწადია, ყოველდღე მიღმის... მპირდება...

მეზობლები ისმენდნენ და ზუმად და თავის ქვეით იმეორებდნენ:

— საბარალო დედაცა! საბარალო დედაცა!

სუსანა კვლავ ელოდა შვილს... ხშირად წარმოადგენდა იმ დღეს, იმ წამს, როცა შვილი მოვიდოდა... ჯერ ეზოს ქისკარი იღება და ქრიალებს, მერე ისევ იხრება... ძალით, გონიერი ბოლარა მარბის გაშვებული, მაგრამ უკვებ ხმის იწყებს: სუსანა არ ავიწყლებს პატარანები. ისე არ არის ბოლარ, შენ ხომ არ დავუწყებია ჩემს საქუა? — ეკითხება თავის ძალს. პირუტყვი უყურებს გონიერის თვალებით, თითქმის ეუბნება: ჰო, რასაკვირველია, არ დამწყებია. სურათი იცვლება: ძალი სდუმს, გარაობს დედაშიწაზე, ეხვევა საქუას ფეხებს, იყუდება სიხარულისაგან. თვითონ სუსანა კი ამ დროს ზის დარბაზში, მოხუცებულია, თვითონ არ უჭირს; შვილიც გამოაკლია, — რამდენი წელიწადია... უყურებს და ვერა სცნობს: აი უახლოვდება, დედას ფეხები უცახცახებს, ცდილობს ფეხზე დადგეს, მაგრამ ვერ ახერხებს, იწევს ზევით, მაგრამ ეცხება; ხელახლა ედგება და კიდევ ეცხება. წინ იწევს, რაც ძალი და ღონე აქვს, და ხელებს გაშლილი ეხვევა საქუას კისერზე:

— აჰ, თვალები დამიბრავდეს!... შენა ხარ, საქუა? შენა ხარ... [მოხვედრის... გ], ცხლა კო დამმარხე, როდის მოხვედრე... მეც ცოდო ვარ... ღვთის მშობელმა სეკვა, რომ მოხვალ, ცხლა კო დამმარხე.

ცრემლები სცივია. სუსანა ბედნიერია... დღეში რამდენჯერმე ეს სანუგეშო სურათი გავივლიდა ხოლმე სუსანას თვალ წინ: ხედავდა შვილს, ეკონებოდა სტორიდა.

რა კარგია!

ერთ დროს სუსანა დღე მუდამ შვილის მხენ ფეხებზე. ამხე ქვირდის იმისთვის ქვეყანაზე



სასკუმრო ბელ-უი, გადამწვარი და განადგურებული.

არა იყო-რა. დიდი ხანია, რაც ასეთი ფიცი დასტოვდა. ეს მხე ახლა ძალიან შორს არის, ძალიან ძვირია, რომ დედამ

ადვილად „მიიტანოს პირთან“. ეხლა ფიცულობს თავის შვილის მოსვლას:

— ჩემი შვილის მოსვლის მაღლა...

ამ ოთხ სიტყვას ისე წარმოსთქვამდა, ისეთი რწმენით, რომ კაცს გგონებოდა, იმითი სკოტოლოქს და სუნთქავსო. უყურებს კარვს და ელოდება კაცუნს, რომელმაც უნდა ახაროს შვილის მოსვლა.

წელიწადი წელიწადს მისდევდა, ვაშლის ხე ყველით იმოსებოდა და ხელახლა შიშვლდებოდა, ფრენვლები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, საჭოა კი მაინც არსადა სჩანდა. მაგ-

რამ სუსანა კვლავინდებურად განაგრძობდა ლოცვას და ფიცს:

— ჩემი შვილის მ-სელის მაღლა...


მეზობლებიც თავის ქნევით ამბობდნენ:

— საბრალო დედაკაცი! საბრალო დედაკაცი!


ხოლო ღვთის-მშობელი ეკლესიაში იღიზებოდა, იმედის მომგვრელ ღიმილით.

უ. კ—ხა.


(დასასრული იქნება)




სკოლებში წესიერი სწავლა სწარმოებს.



ქუჩებში სრულად წესიერება.




ფინანსური მდგომარეობა მტკიცე და შეუწყველად.



გაზეთები თავთავის დროზე გამოდის,



გახერხებული ვაჭრობა.



მთავრობა დიდად ზრუნავს განათლებულთა უზრუნველ ცხოვრებისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. მ. ჯაბაძე.